ქ. თბილისი ხელშეკრულება #01-01

ერთის მხრივ სსიპ ,,საგანმანათლებლო 8 ოქტომბერი 2015 წელი
განვითარების სააგენტო'' წარმოდგენილი და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
მეორეს მხრივ შ.პ.ს გამომცემლობა „ინტელექტი“, წარმოდგენილი დირექტორის გრიგოლ გაგოშიძის სახით და
კახმეგ კუდავას სახით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და
სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მისი დირექტორის
სააგენტოს'' შორის 2013 წლის 08 აპრილს გაფორმებული №1 ლიცენზიის და №2
განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებების, 2014 წლის 31 დეკემბერის №01-5,
№02-5 შეთანხმებების და სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 28 სექტემბრის №93 ბრძანების
გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გრიფმინიჭებული სასკოლო
სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ბეჭდვასთან
დაკავშირებით, საავტორო უფლების მფლობელისათვის ჰონორარის სახით
გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის
რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა
გადასახადის ჩათვლით) გაცემა.
2. მომსახურების გაწევის ვადაა 30 კალენდარული დღე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია ჰონორარის სახით
მოითხოვოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი,
მოსწავლის რვეული) ბეჭდვისათვის განსაზღვრული ჰონორარის გადარიცხვა, მის
მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.
2.2 საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია ჰონორარის მისაღებად
წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები
2.3 სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო“ უფლებამოსილია:
ა) საავტორო უფლების მფლობელს მოსთხოვოს საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენა.
ბ) საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენამდე არ განახორციელოს ჰონორარის
გადარიცხვა.
2.4 სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების
სააგენტო“ ვალდებულია საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით
გადაურიცხოს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი,
მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით
გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით), მის მიერ წარმოდგენილ საბანკო
ანგარიშზე.
3. მხარეები ვალდებულნი არიან და სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი
წესით პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან
შესრულებაზე.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საავტორო
მფლობელის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, არა უგვიანეს 2015 წლის 31
დეკემბრისა.

3.2 საავტორო უფლების მფლობელს, ჰონორარის სახით გადაერიცხება გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ტირაჟის ღირებულების 10% (კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით) , რაც მოცემულ **შემთხვევაში შეადგენს 17884,56 (ჩვიდმეტიათას რვაასოთხმოცდაოთხი ლარი და 56 თეთრი) ლარს.**

3.3

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ან მასში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორი

ფორს-მაჟორის არსებობისას, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადავადდება მის გასვლამდე, ხოლო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მთლიანად.

6. დამატებითი პირობები

6.1 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით კანონით დადგენილი წესით.

6.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და გადაეცემა მხარეებს.

7. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო''
თბილისი, მ.ალექსიძის ქ.№1, შენობა-ნაგებობა №1, მე-2 სართული
ს/კ 202294980, სახელ;მწიფო ხაზინა: ა/ა200122900 კოდი 220101222

დირექტორი
გრიგოლ გაგოშიძე
-----------------------------------

საავტორო უფლების მფლობელი:
შპს გამომცემლობა „ინტელექტი" მის.:თბილისი, ჭავაჭავაძის გამზ. **№5ა ტელ:+995 32 225 05 22; 291 22 83.** სს ბანკი "რესპუბლიკა" ბანკის კოდი:REPLGE22 ანგ. ნომერი:GE68BR0000003608011195

დირექტორი
კახაბერ კუდავა -----------------------------------

| # | გამომცემლობა | რაოდენობა | ღირებულება | ჯამი ღირებულება | 10% |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | არტანუჯი | 208,469 | 175,165.16 | 175,165 | 17,516.52 |
| 2 | დიოგენე | 80,945 | 102,721.35 | 102,721 | 10,272.14 |
| 3 | ინტელექტი | 251,371 | 178,845.61 | 178,846 | 17,884.56 |
| 4 | კლიო | 48,812 | 47,385.84 | 47,386 | 4,738.58 |
| 5 | მაცნე | 18,292 | 11,340.30 | 73,191 | 7,319.13 |
| 6 | მერიდიანი | 209,062 | 177,486.32 | 177,486 | 17,748.63 |
| 7 | ოცდამეერთე | 9,551 | 26,921.08 | 26,921 | 2,692.11 |
| 8 | რუხაძე | 31,811 | 33,036.58 | 33,037 | 3,303.66 |
| 9 | საგინაშვილი | 44,250 | 42,831.54 | 42,832 | 4,283.15 |
| 10 | სიდი | 63,895 | 26,063.42 | 26,063 | 2,606.34 |
| 11 | სულაკაური | 219,034 | 186,405.28 | 186,405 | 18,640.53 |
| 12 | სწავლანი | 76,048 | 54,467.75 | 54,468 | 5,446.77 |
| 13 | სწავლანი მაცნე | 43,594 | 61,850.97 | | |
| 14 | წყაროსთვალი | 112,321 | 70,973.35 | 70,973 | 7,097.33 |
| 15 | ჯამი: | **1,417,455** | **1,195,494.55** | **1,195,495** | **119,549.46** |

119549.46